ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 4 მოდულს:

- I მოდული, ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა.
- II მოდული, ქართველური ენები და დიალექტები.
- III მოდული, ქართული ენის პრაგმატიკა.
- IV მოდული, ქართული როგორც მეორე ენა.

გამოცდის ფორმატი:

სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ჩატარდება ქართულ ენაში. საკითხები საერთოა ყველა მოდულისათვის.
სტუდენტებს მიეცემათ 4 საკითხი და თითოეულ საკითხი შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით. შეფასებისას ყურადღება მიექცევა: მასალის ცოდნას, ანალიზის უნარს.

საგამოცდო საკითხები

1. ქართველური ენების ადგილი მსოფლიოს ენათა სისტემაში (გენეალოგიურ და მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში)
2. ქართული სამწერლობო ენის წარმოშობისა და განვითარების გზა. ქართული, ენა _ საერთო სახალხო და სალიტერატურო ენა ქართველური ტომებისათვის (“ქართლად მრავალი ქუეყანაჲ აღერაცხების”)
3. ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა და თეორიები. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები.
4. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები. წარწერები და ხელნაწერები, მათი დათარიღება და მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.

<u>ფონეტკა და ფონოლოგია</u>

5. ქართული სალიტერატურო ენის ფონემატური სტრუქტურა და მასში მომხდარი ცვლილებები: ხმარებიდან გადავარდნილი ასოები; გვიან გაჩენილი გრაფემები და მათი ფუნქციები; თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, თანხმოვანთა სისტემა; თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით; მარცვალი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია, მეტათეზისი; მახვილი.

<u>ლექსიკა და ფრაზეოლოგია</u>

6. ენის ლექსიკური ფონდი; ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები; აფიქსური სიტყვაწარმოება; კომპოზიცია; კომპოზიტთა მართლწერა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად; ლექსიკის სემანტიკური მიმართებები: სინონიმია და ანტინომია; პოლისემია და ომონიმია; ნასესხები მასალა ლექსიკურ ფონდში; სესხება და კალკირება.

<u>მორფოლოგია</u>

7. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საფუძველი; არსებითი სახელი და მისი შინაარსობლივი ჯგუფები; არსებითი სახელის ბრუნება: ბრუნების ტიპებად (სახეებად)

დაყოფის კრიტერიუმები ქართულში. სახელის ფუძის კუმშვა და კვეცა; ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპი ქართულ ბრუნვათა სისტემაში. თავისებური ფორმაწარმოების სახელები; სახელის რიცხვის წარმოება; ბრუნვის ნიშნები ძველსა და ახალ ქართულში, საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი ძველსა და ახალ ქართულში. თანდებული ძველსა და ახალ ქართულში და ლოკალური ბრუნვების საკითხი თანამედროვე ქართულის ბრუნვათა სისტემაში. შერწყმული და ცალკე მდგომი თანდებულები. ორგვარი მრავლობითი და მათი გამოყენება ძველსა და ახალ ქართულში; რიცხვის ნიშანთა გენეზისის საკითხი.

8. ზედსართავი სახელი და მისი ჯგუფები; ხარისხის წარმოება; ზედსართავი სახელის ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად ძველსა და ახალ ქართულში; რიცხვითი სახელი; მისი წარმოებისა და მართლწერის თავისებურებები; ნაცვალსახელი; ნაცვალსახელთა ჯგუფები; ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებისა და მართლწერის თავისებურებები. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებისა და არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნების გენეზისის საკითხი ქართულში.
9. ზმნა: სტატიკა და დინამიკა: მოქმედებისა და მდგომარეობის სემანტიკა და ფორმა ქართულ ზმნაში; პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ზმნაში; პირიანობა და ვალენტობა; ზმნის პირთა ინვერსიის საკითხი III სერიის ფორმებში დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით.
10. დროის გამოხატვა ზმნაში; დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბება და დროისა და კილოს ურთიერთმიმართების საკითხი ისტორიული თვალსაზრისით: მომავალი დროის გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში. დრო-კილოთა ჯგუფები ქართული ზმნის უღლების სისტემაში. ზმნისწინი: ზმნისწინთა ფუნქციები, ზმნისწინთა მართლწერა; ასპექტი, მისი ადგილი ზმნურ კატეგორიათა შორის; მწკრივი, როგორც კომპლექსური კატეგორია; ზმნურ ფორმათა სერიებად და მწკრივებად დაყოფის საფუძველი. მწკრივები და სერიები ძველსა და ახალ ქართულში. ხმარებიდან გამოსული მწკრივები და მათი ფორმობლივი და ფუნქციური ანალიზი (აწმყოს ხოლმეობითი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი). I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში (ცალკეულ მწკრივთა ფორმობლივი და ფუნქციური ანალიზი; *-ოდ* სავრცობიან ზმნათა უღლება I სერიაში; *-ავ* და *-ამ* თემისნიშნიან ზმნათა უღლება I სერიაში *-ავ* და *-ამ* თემისნიშნიან ზმნათა უღლება I სერიაში). III სერიის მწკრივთა წარმოება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში.
11. ქართული ზმნის გარდამავლობის საკითხი. გარდამავლობის განსაზღვრის კრიტერიუმები. უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიები.
12. გვარის კატეგორია. მისი განსაზღვრების პრობლემა გრამატიკულ ლიტერატურაში. კონვერსია და გვარი. გვარი და გარდამავლობა. მოქმედებითი გვარის სტრუქტურა და კონსტრუქცია. ვნებითი გვარის ფორმათა სტრუქტურა და კონსტრუქცია. საშუალი გვარის გამოყოფის კრიტერიუმები: “მედიოაქტივი” და “მედიოპასივი”. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების "გვარის" კატეგორიის მიხედვით კლასიფიკაციის პრინციპების ნაკლულევანება.
13. პირთა მიმართებისა და “ქცევის” (ვერსიის) კატეგორიის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.
14. ”კონტაქტის” კატეგორია. პირველადი და მეორადი კაუზატივები.
15. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპები. უღლების ტიპები (ა. შანიძე).

<u>სინტაქსი</u>

16. სინტაქსი, როგორც გრამატიკის დარგი, მისი საგანი. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური კავშირის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა. სუბორდინაციისა და კოორდინაციის თეორია (არნ. ჩიქობავა). შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი ძველსა და ახალ ქართულში.
17. წინადადება, როგორც სინტაქსური ერთეული, მისი განსაზღვრა, წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით; მოდალობის გამოხატვის საშუალებანი; წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული წინადადება; წინადადების მთავარი წევრები; წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადების ტიპები; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.
18. რთული წინადადება და მისი ორი ქვესახეობა; რთული თანწყობილი წინადადება; რთული ქვეწყობილი წინადადება და მისი სახეები; დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია სამი ნიშნის მიხედვით; დამოკიდებულ წინადადებათა ამოცნობის ხერხები.
19. კავშირთა (წევრ-კავშირთა) და საკორელაციო სიტყვათა ურთიერთმიმართება; შერეული სახის რთული წინადადებები; სხვათა სიტყვა: პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სხვათა სიტყვის ნაწილაკები და მათი გამოყენების წესები.

<u>ლიტერატურა</u>

1. *ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973 // ა. შანიძე, თხზულებანი, ტ., II, თბ., 1980*
2. *ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976*
3. *არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952*
4. *არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968*
5. *არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, ტ. I, თბ., 1950 // თბ., 1998*
6. *გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999*
7. *კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997*
8. *ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984*
9. *ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართული ენა, თბ., 2004*
10. *ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954*
11. *ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957*
12. *ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I-II, მაინის ფრანკფურტი, 1996*
13. *ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986*
14. *ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989*
15. *ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975*
16. *დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001*
17. *მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976*
18. *ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული სინტაქსი, თბ., 1977*
19. *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986*
20. *კრებული "სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში", ტ. I, ვ. თოფურიას რედ., თბ. 1986.*

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. რამაზ ქურდაძეს
ელ-ფოსტა: ramaz_k@yahoo.com, ramaz.kurdadze@tsu.ge